

F 471  
1978

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР



გაქანებუთა და ინსტრუქციათა  
კ რ ე ბ უ ლ ი

СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИИ

№ 7

ივლისი — июль

რედაქტორი ე. ქურციკიძე  
ტექნორედაქტორი ა. ბაკურაძე  
კორექტორი ლ. დოლიძე

წყობის ზომა 6×9 ქაღალდის ზომა 60×84 ნაბეჭდი თაბახი 5  
გადაეცა ასაწყობად 25-VII-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/-VIII-78.  
შეკვ. № 615 უგ 04085 ტირაჟი 5000

უ შ ა ს ო

აღმზრდელია მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური  
ცენტრის სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7.

Типография Республиканского научно-методического центра  
воспитательной работы, ул. Нуцубидзе № 7.





„ვამტკიცებ“

სსრკ განათლების მინისტრი  
1973 წ. 24 აგვისტო

### ტ ი კ უ რ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა, რომლებშიც რიგი საგნები უცხოურ ენაზე ისწავლება

#### 1. ზოგადი დებულებანი

1. ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა, რომელშიც რიგი საგნები უცხოურ ენაზე ისწავლება, უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა მიერ ერთ-ერთი უცხოური ენის პრაქტიკულად დაუფლებას შემდგომში სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის სხვადასხვა სფეროში სამუშაოდ. თავის მუშაობაში სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის წესდებითა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ამ დებულებით.

2. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რომელშიც რიგი საგნები უცხოურ ენაზე ისწავლება, იხსნება „უცხოური ენების სწავლების გაუმჯობესების შესახებ“ არსებული დადგენილების საფუძველზე. სკოლა შეირჩევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესის მიხედვით, მასწავლებელთა კვალიფიკაციური კადრებისა და აუცილებელი სასწავლო-მატერიალური ბაზის გათვალისწინებით. ამ სკოლას ხელმძღვანელობს და აფინანსებს შესაბამისი რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება.

#### II. სკოლაში ბავშვების მიღების წესი

3. ყოველი სკოლისათვის, რომელშიც რიგი საგნები უცხოურ ენაზე ისწავლება, მიკრორაიონს განსაზღვრავს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება.

4523

კ. მარჯის სხ. საქ. სსრ  
სახელმწიფო რესპუბლიკა  
განათლების

ამ სკოლაში, ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში, შესაბამის განათლების განყოფილებასთან შეთანხმებით, შეიძლება ბავშვები მიღებულ იქნან სხვა რაიონებიდანაც.

4. ზოგიერთი საგნის უცხოურ ენაზე სწავლების ახლად გახსნილ სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვა პირველ კლასში და აგრეთვე მეორე და მესამე კლასში ხდება წელიწადში ერთხელ მშობელთა ან მათ შემცვლელ პირთა განცხადებისა და ბავშვის ჯანმრთელობის შესახებ სამედიცინო ცნობის წარმოდგენის საფუძველზე. სუსტი ჯანმრთელობის მქონე ბავშვები ასეთი ტიპის სკოლებში ვერ ჩაირიცხებიან, რადგან სასწავლო დატვირთვა იქ უფრო დიდია, ვიდრე მასობრივ სკოლებში. ბავშვებისათვის რაიმე შემოწმების მოწყობა აკრძალულია. ვაკანტური ადგილების შემთხვევაში მოსწავლეთა ჩარიცხვა შეიძლება გაგრძელდეს წლის განმავლობაში.

5. იმ მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება, რომლებიც ზოგიერთი საგნის უცხოურ ენაზე სწავლების სკოლიდან გადმოდიან, ამავე ტიპის სკოლებში არ ხდება.

6. სკოლებში, რომლებშიც რიგი საგნები უცხოურ ენაზე ისწავლება, ცალკეულ შემთხვევებში, რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების ნებართვით, შეიძლება მიღებულ იქნან მოსწავლეები მასობრივი სკოლებიდან იმ შემთხვევაში, თუ ისინი გამოამუშავებენ უცხოური ენის ცოდნას რიგი საგნების უცხოურ ენაზე სწავლების სკოლის შესაბამისი კლასის პროგრამის მიხედვით.

### III. სასწავლო მუშაობის ორგანიზაცია და შინაარსი

7. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რომელშიც რიგი საგნები უცხოურ ენაზე ისწავლება, მუშაობს ტიპური სასწავლო გეგმის შესაბამისად ამ ტიპის სკოლებისათვის შექმნილი და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმის მიხედვით.

თითოეულ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა 30-ით განისაზღვრება. უცხოური ენის გაკვეთილის ჩასატარებლად კლასი სამ ნაწილად იყოფა, თითოეულში — 10 კაცი.

ყველა სასწავლო დისციპლინის სწავლება, გარდა უცხოური ენისა, წარმოებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის დად-

გენილი ერთობლივი პროგრამების მიხედვით. მათ შესასწავლად განკუთვნილი დროის შემოკლება აკრძალულია.

8. უცხოური ენის სწავლება იწყება პირველი ან მეორე კლასიდან. მოსწავლეთა ენობრივი მომზადების სრულყოფისათვის საზღვარგარეთის მხატვრული ლიტერატურის ცალკეული ნაწარმოებები, აგრეთვე საკითხები შესწავლილი ენის ქვეყნის ისტორიისა და გეოგრაფიიდან შეიძლება შესწავლილ იქნეს უცხოურ ენაზე.

სკოლებში, რომლებშიც რიგი საგნები უცხოურ ენაზე ისწავლება, შრომითი სწავლება ხორციელდება საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პროგრამის მიხედვით, ხოლო IX—X (XI) კლასებში ამ საგნისათვის განკუთვნილი საათები ადგილობრივი განათლების ორგანოების შეხედულებისამებრ გამოყენებულ უნდა იქნეს ტექნიკური თარგმანის ან უცხოურ ენაზე მანქანაზე ბეჭდვისათვის.

9. უცხოური ენის სწავლების მთელ პერიოდში სისტემატურად ტარდება კლასგარეშე მუშაობა უცხოურ ენაზე (ლიტერატურული საღამოები, წრეების მეცადინეობა, კედლის გაზეთების გამოშვება, არადუბლირებული უცხოური ფილმების ჩვენება და ა. შ.).

10. სკოლაში, რომელშიც რიგი საგნები უცხოურ ენაზე ისწავლება, გარდა მასობრივი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებისათვის დადგენილი სასწავლო კაბინეტებისა, უნდა იყოს უცხოური ენის კაბინეტებიც.

11. აღნიშნული სკოლის ბიბლიოთეკები, გარდა ქართული და რუსული წიგნებისა, კომპლექტდება ლიტერატურით იმ უცხოურ ენაზე, რომელიც ამ სკოლაში ისწავლება.

12. უცხოური ენის კაბინეტების მოწყობილობა, სასწავლო ხელსაწყოები და ლიტერატურა უცხოურ ენაზე სკოლებმა უნდა შეიძინონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის არსებული ტიპობრივი სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოებისა და სასწავლო მოწყობილობათა სიის შესაბამისად.

#### IV. პედაგოგიური პერსონალი და სკოლის სხვა მუშაკები

13. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, რომელშიც რიგი საგნები უცხოურ ენაზე ისწავლება, მთელი საქმიანობის ხელ-



მძღვანელობას ახორციელებს დირექტორი, რომელიც ინიშნება თანადო ორგანოს მიერ და, როგორც წესი, ფლობს იმ ენას, რომელიც ისწავლება მოცემულ სკოლაში.

14. ზოგიერთი საგნის უცხოურ ენაზე სწავლების საშუალო სკოლაში დამატებით შემოღებულია სკოლის დირექტორის მოადგილის თანამდებობა. იგი პასუხისმგებელია უცხოური ენის სწავლების მდგომარეობაზე, აგრეთვე აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარებასა და მის ორგანიზაციაზე. უცხოურ ენაში დირექტორის მოადგილე, სკოლის დირექტორის წარდგინებით, ინიშნება რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების მიერ იმ უფრო კვალიფიციურ მასწავლებელთა რიცხვიდან, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება, პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ სამი წლის სტაჟი და თავისუფლად ფლობენ უცხოურ ენას.

15. კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორის, უფროსი პიონერხელმძღვანელის, სკოლის ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე, სათანადო წესით, უმთავრესად ინიშნებიან ის პირები, რომლებიც ფლობენ უცხოურ ენას.

16. უცხოური ენის მასწავლებლები კვალიფიკაციას იმაღლებენ რესპუბლიკური დახელოვნების ინსტიტუტის კურსებზე და სემინარებზე.



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის

1978 წლის 27 აპრილის

გ ა დ ა წ ე ვ ტ ი ლ ე ბ ა

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფაკულტატიური  
მეცადინეობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების  
ლონისძიებათა შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათ-  
ლებლო სკოლების უმრავლესობა სათანადო პასუხისმგებლობით  
არ ეკიდება ფაკულტატიური მეცადინეობის ჩატარების საქმეს,  
ხოლო სკოლათა საკმაოდ დიდ ნაწილში ფაკულტატიური მეცადი-  
ნეობისთვის განკუთვნილ საათებს იყენებენ მასწავლებელთა საგა-  
ნაკვეთო დატვირთვის შესავსებად. ფაკულტატიურ მეცადინეობა-  
თა მაღალ დონეზე მოწყობის მიზნით სკოლებს არა აქვთ ურთი-  
ერთობა შესაბამის სამეცნიერო დაწესებულებებთან, არ იყენებენ  
უმაღლესი სასწავლებლების სპეციალისტებს, ფაკულტატიურ მე-  
ცადინეობას ანდობენ საამისოდ სათანადო მომზადების არმქონე  
მასწავლებლებს. ფაკულტატიური მეცადინეობა მათემატიკურ და  
საბუნებისმეტყველო დისციპლინებში შემოღებულია მოუმზადებ-  
ლად. ამასთან რესპუბლიკის არც ერთ ქალაქსა და რაიონში არ არის  
შემოღებული სასკოლათაშორისო ფაკულტატიური გაერთიანებანი.

ფაკულტატიურ მეცადინეობათა გაუმჯობესებას იმანაც შეუწყო-  
ხელი, რომ სკოლებს მიეცა უფლება ფაკულტატივებისათვის გან-  
კუთვნილი საათები დათმობოდა სხვადასხვა საგნებში სასწავლო  
პროგრამით გათვალისწინებული მასალის შესწავლას; ამის შედე-  
გად მიმდინარე სასწავლო წელს რესპუბლიკის ქართული სკოლე-  
ბის უმრავლესობაში არც ერთ სასწავლო დისციპლინაში არაა ჩა-  
მოყალიბებული ჯგუფები ფაკულტატიური მეცადინეობისათვის,  
ხოლო იმ სკოლების უმეტესობაში, სადაც თითქოსდა შემოღებუ-  
ლია ფაკულტატიური მეცადინეობანი, უხეშად ირღვევა საინს-  
ტრუქციო მოთხოვნები და მეცადინეობანი მხოლოდ ფორმალურად  
ატარებენ ფაკულტატივის სახელს.

ასე მაგალითად, ქ. თბილისის მე-10 საშუალო სკოლის 32

ჯგუფში 728 მოსწავლე მეცადინეობს (ჯგუფში საშუალოდ — 81-ე სკოლის 11 ჯგუფში — 470, 92-ე სკოლის 7 ჯგუფში — 108, 114-ე სკოლის 12 ჯგუფში — 423, რუსთავის 1-ლი სკოლის 11 ჯგუფში — 286, ქ. სოსხუმის მე-12 სკოლის 10 ჯგუფში — 102; უჩამბის სკოლაში — 1 ჯგუფია ქიმიამი და მასში VIII—IX—X კლასების 55 მოსწავლეა გაერთიანებული; ბოგდანოვკის რაიონის VII—X კლასებში სულ 3960 მოსწავლეა, მათგან 3432 ფაკულტატიურ მეცადინეობაშია ჩაბმული; მარნეულის რაიონის 9746 მოსწავლიდან — 9136; წალკის რაიონის 5737 მოსწავლიდან — 3636; ახალციხის 7028 მოსწავლიდან — 4265; დასახელებული რაიონების სკოლების უმრავლესობას არა აქვს საამისო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არა ჰყავს მასწავლებელთა კვალიფიციური კადრები.

ახალქალაქის რაიონში 814 მასწავლებლიდან მხოლოდ 487-ს (59,9%) აქვს უმაღლესი განათლება, ბოგდანოვკის რაიონში 524-დან — 322 (61,5%); მარნეულის რაიონში 1554-დან — 1238 (79,7%), წალკის რაიონში 691-დან 526 (76,1%).

არის შემთხვევები, როდესაც ფაკულტატიური მეცადინეობის ჯგუფები მინიმალურადაც არ არის დატვირთული. მაგალითად, ქ. თბილისის 74-ე სკოლის 24 ფაკულტატიურ ჯგუფში გაერთიანებულია 95 მოსწავლე (ჯგუფში საშუალოდ ოთხი მოსწავლე მეცადინეობს, დაუტვირთავია ჯგუფები თბილისის 67-ე, 125-ე, ბოგდანოვკის, ახალქალაქის და სხვა რაიონების სკოლებში. გუდაუთის მე-4 საშუალო სკოლაში შრომითი სწავლების ფაკულტატიურ ჯგუფში გაერთიანებულია 27 მოსწავლე, მაშინ როდესაც ამ საჯანში ჩვეულებრივ გაკვეთილზე ჯგუფი ორად იყოფა, თუ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა 25-ს აღემატება.

აღნიშნული ფაქტები ნათლად მეტყველებს ფაკულტატიური მეცადინეობის ორგანიზების საქმისადმი ფორმალურ მიდგომაზე, მისი დანიშნულებისა და შესაძლებლობის შეუფასებლობაზე, რაც მთავარია სწავლების ახალი ფორმების და მეთოდების უგულებელყოფაზე.

აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით და „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის

შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრ-  
თა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის დადგენილებაში მოცემულ  
სადირექტივო მითითებათა შესაბამისად და მოსწავლეთა შრომითი  
აღზრდის, მათი უნარ-ჩვევების, მიდრეკილებების გამოვლენისა და  
სწორად წარმართვის უზრუნველსაყოფად კოლეგია ღებულობს  
შემდეგ

### გ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა ს :

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამ-  
ხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების  
განყოფილებათა გამგეებმა:

— ფაკულტატიური მეცადინეობის შემოღებისას იხელმძღვა-  
ნელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის  
მიერ 1975 წელს დამტკიცებული დებულებით (1975 წლის ბრძა-  
ნებათა და ინსტრუქციათა კრებული № 6);

— ფაკულტატიური მეცადინეობა შემოიღონ სკოლის, კლასის,  
მოცემული საგნის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სასწავლო დი-  
დაქტიკური მასალით უზრუნველყოფის შემთხვევაში, რაც მთავა-  
რია, მოსწავლეთა ინდივიდუალური მიდრეკილებების, უნარისა და  
ინტერესების გათვალისწინებით, ფაკულტატიური კურსის მათსავე  
არჩევის საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში აიკრძალოს სკო-  
ლებში ფაკულტატიური მეცადინეობის შემოღება ან ამ მიზნით  
გათვალისწინებული საათების არადანიშნულებით გამოყენება;

→ შეისწავლონ და სადაც ეს შესაძლებელია, უზრუნველყონ  
სასკოლოთაშორისო ფაკულტატივების შექმნა. ამ საქმეში ეფექტუ-  
რად გამოიყენონ უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებუ-  
ლებების სპეციალისტები;

— ფაკულტატიური ჯგუფების დაკომპლექტებისათვის საჭირო  
მოსამზადებელი სამუშაოები ჩაატარონ ყოველი სასწავლო წლის  
ბოლოს (მაის-ივნისში). ფაკულტატიური მეცადინეობის თემატიკა,  
შინაარსი, მოცულობა და სტრუქტურა, აგრეთვე ჯგუფების სახე-  
ები მოსწავლეებს გაეცნოს სასწავლო წლის დასაწყისში, იმ ვარა-  
უდით, რომ მეცადინეობა დაიწყოს არა უგვიანეს 10—15 სექტემბ-  
რისა;

— ფაკულტატიური მეცადინეობის პროფორიენტაციის სამსახურში ჩაყენების მიზნით, სადაც ეს საჭიროა, ფართოდ გამოიყენონ **მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადები**, შრომისა და დასვენების ბანაკები;

— ფაკულტატიური მეცადინეობის ბაზად გამოიყენონ სასკოლთაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატები, სკოლის სასწავლო კაბინეტები, სასწავლო-საწარმოო საამქროები, სასწავლო-საცდელი ნაკვეთები, სკოლისგარეშე დაწესებულებები — ნორჩ ტექნიკოსთა, ნორჩ ნატურალისტთა სადგურები, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ობიექტები;

— პერიოდულად შეისწავლონ ფაკულტატიური მეცადინეობის მიმდინარეობა სკოლებში და საკითხი მოისმინონ განათლების საბჭოების სხდომებზე.

2. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. საყვარელიძემ):

— შეიმუშაოს ფაკულტატიური მეცადინეობის ორგანიზაციის ფორმები და მეთოდები და მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის გზები;

— დაამუშაოს ახალი ფაკულტატიური პროგრამები და მისი შესაბამისი კურსები მევენახეობაში, მეციტრუსეობაში, მეჩაიეობაში, მებოსტნეობაში და რესპუბლიკის სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა დამახასიათებელ დარგებში;

ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს ფაკულტატიური მეცადინეობისათვის აუცილებელი სასწავლო და მეთოდური ლიტერატურის გამოცემის გეგმა და განსახილველად წარუდგინოს სამინისტროს კოლეგიას.

3. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. მ. დარჩიამ):

— ქმედითი მეთოდური დახმარება გაუწიოს ფაკულტატიური კურსის წამყვან მასწავლებლებს;

— ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს ფაკულტატიური კურსის მასწავლებელთა თეორიული და პრაქტიკული მომზადების გეგმა და წინადადება წარუდგინოს განათლების სამინისტროს.

4. რესპუბლიკის პედაგოგიურმა პრესამ: გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ და ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ“ (ამხ. ამხ. ნ.



შველიძემ, გ. საჯაიამ) სისტემატურად გამოაქვეყნონ მასალები კულტატიური მეცადინეობის აქტუალურ პრაქტიკულ და თეორიულ სკიოხებზე.

5. სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ამხ. პ. თუთბერიძემ) უზრუნველყოს ფაკულტატიური მეცადინეობისათვის აუცილებელი სასწავლო და მეთოდური ლიტერატურის გამოცემა.

6. სკოლების სამმართველომ (ამხ. გ. ფანჩულიძემ):

— პერიოდულად შეისწავლოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფაკულტატიური მეცადინეობის მდგომარეობა და საჭიროებისამებრ საკითხი მოამზადოს განათლების სამინისტროს კოლეგიაზე განსახილველად;

— განახორციელოს კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე.

კოლეგიის თავმჯდომარე

მინისტრი

ო. ჭინკლაძე



## დ ე ზ უ ლ ე ბ ა

### ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ფაკულტატიური მეცადინეობის შესახებ

1. ფაკულტატიური მეცადინეობა, როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ახალი ფორმა, სკოლაში ტარდება „სახალხო განათლების შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების“ და „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 10 ნოემბრის № 874 დადგენილების შესაბამისად.

2. ფაკულტატიური მეცადინეობა მიზნად ისახავს VII—X კლასების მოსწავლეებში ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის, შრომითი პოლიტიკური მომზადებისა და აგრეთვე მოსწავლეთა ნიჭისა და მრავალმხრივი ინტერესების განვითარებას.

3. ფაკულტატიური კურსის ტიპობრივ პროგრამებს ამუშავებს და გამოსცემს სსრ კავშირის განათლების სამინისტრო.

ფაკულტატიური მეცადინეობის პროგრამებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების დამტკიცება შედის მოკავშირე რესპუბლიკების განათლების (სახალხო განათლების) სამინისტროების კომპეტენციაში.

4. სახალხო განათლების ორგანოებთან შეთანხმებით სკოლებს უფლება ეძლევათ, ადგილობრივი პირობებისა და მატერიალური ბაზის გათვალისწინებით, შეიტანონ ცვლილება შრომითი სწავლების ფაკულტატიური კურსის პროგრამებში.

5. ფაკულტატიური კურსი შეიძლება გათვალისწინებული იქნეს არა უმცირეს 35 საათზე (კვირაში 1 საათი — წლის განმავლობაში ან კვირაში 2 საათი — ნახევარი წლის განმავლობაში).

6. ფაკულტატიური კურსის შემსწავლელ ჯგუფებში მოსწავლეები ჩაირიცხებიან მათი სურვილის მიხედვით.

7. მოსწავლეების მიერ ერთდროულად ორზე მეტი ფაკულტატიური კურსის შესწავლა მიზანშეწონილი არ არის.

8. ფაკულტატიური კურსის შემსწავლელი ჯგუფები, როგორც წესი, უნდა დაკომპლექტდეს ერთი ან პარალელური კლასების მოსწავლეებით. ფაკულტატიური მეცადინეობა რომელიც დაკავშირებული არ არის სასწავლო გეგმაში შემავალ საგნებთან, შეიძლება ჩატარდეს სხვადასხვა კლასის მოსწავლეებთან.

სათანადო პირობების არსებობისას, განათლების განყოფილების რეკომენდაციით, ჯგუფები შეიძლება შეიქმნას ორი ან რამოდენიმე სკოლის მოსწავლეებიდან (სასკოლათაშორისო ფაკულტეტი).

9. ფაკულტატიური მეცადინეობისა, ჯგუფების რაოდენობა ყველა შემთხვევაში განისაზღვრება ამ მიზნისათვის განკუთვნილი საათების რაოდენობით, რაც დადგენილია სკოლისათვის მოქმედი სასწავლო გეგმის საფუძველზე.

10. ფაკულტატიური მეცადინეობისათვის დგება ცალკე ცხრილი და ტარდება გაკვეთილების დაწყებამდე ან შემდეგ ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით (სკოლის საცხოვრებელი ადგილიდან დაშორება, მოსწავლეთა ინტერნატში განლაგება და სხვ.) შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს შუალედი მოსწავლეთა დასვენებებისათვის სავალდებულო მეცადინეობებსა და ფაკულტატივებს შორის.

11. ფაკულტატიური მეცადინეობის ჩატარებისას გამოყენებულ უნდა იქნეს სწავლების სხვადასხვა ფორმები, მეთოდები და მოსწავლეთა სასწავლო მუშაობის სახეები, რაც ხელს შეუწყობს მათ შემეცნებითსა და ზემოქმედებითს აქტივობას, მათ შორის ლექციები, სემინარები, პრაქტიკუმები, ლაბორატორიული სამუშაოები, ექსკურსიები, რეფერატები, მოხსენებები და მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის სხვა ფორმები.

12. მოსწავლეები, რომლებიც შეისწავლიან ფაკულტატიურ კურსს, მათ რეკლასის დამთავრების მოწმობებში საშუალო განათლების ატესტატში მითითებული იქნება შესწავლილი კურსის (კურსების) დასახელება.

13. ფაკულტატიური კურსები მიყავთ მასწავლებლებს, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლებს, მეცნიერების, ლი-



ტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, წარმოებისა და სოფლის მეურნეობის სათანადო მომზადების მქონე სპეციალისტებს.

14. ფაკულტატიური კურსების მასწავლებლების ხელფასის ანაზღაურება წარმოებს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებების მიერ დამტკიცებული ტარიფიკაციის შესაბამისად.

15. პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა სურვილისა და რეალურად არსებული პირობების შესაბამისად, ამტკიცებს ფაკულტატიური კურსის სიას მომავალი წლისათვის.

16. მოსწავლეთა რაოდენობას ჯგუფებში განსაზღვრავს სკოლის დირექტორი ფაკულტატიური კურსების სპეციფიკის მიხედვით, მაგრამ არაუმცირეს 10 კაცისა ჯგუფში.

17. იმ შემთხვევებში, როდესაც ამა თუ იმ ფაკულტატიური კურსის შესწავლის მსურველთა რიცხვი აღემატება დადგენილს, უპირატესობა ეძლევა იმ მოსწავლეებს, რომლებმაც ამ ან მონათესავე საგნებში გამოიჩინეს მეტი სიბეჭითე და დაინტერესება.

18. ფაკულტატიური კურსის შესასწავლად ჯგუფების დაკომპლექტებისას დაუშვებელია შესარჩევი გამოცდებისა და შემოწმებების ჩატარება.

19. ფაკულტატიური კურსის შესასწავლად მოსწავლის ჯგუფში ჩარიცხვა ხდება იმ მასწავლებლის მიერ, რომელიც ატარებს ფაკულტატიურს, კლასის ხელმძღვანელის მოსაზრების გათვალისწინებით და მტკიცდება სკოლის დირექტორის ბრძანებით არა უგვიანეს 10 სექტემბრისა (ან 10 იანვრისა).

20. ფაკულტატიური მეცადინეობის ორგანიზაციასა და შინაარსზე ხელმძღვანელობასა და კონტროლს ახორციელებს სკოლის დირექტორი და მისი მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობის დარგში.

- შ ე ნ ი შ ვ ნ ა :
1. დებულება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ფაკულტეტიური მეცადინეობის შესახებ ძალაში შედის 1975 წლის 1-ელ სექტემბრიდან.
  2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წლის 17 თებერვლის ცირკულარული წერილი ამ საკითხზე ძალადაკარგულად ჩაითვალოს.



გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების, სასკოლო ინტერნატების ქსელის რაციონალური განლაგების, მათი სასწავლო-მატერიალური ბაზის მდგომარეობისა და მუშაობის

### შ ე ს ა ხ ე მ ე

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების, ახალგაზრდობის საზოგადოებრივი აღზრდისა და ყოველმხრივი განვითარების ქმედითი საშუალებებია გახანგრძლივებული დღის სკოლები, ჯგუფები და სასკოლო ინტერნატები. რესპუბლიკაში ამ მიმართებით გატარებული ზოგიერთი ღონისძიებების მიუხედავად, მდგომარეობა ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება. საკმარისია აღინიშნოს, რომ გახანგრძლივებული დღის სკოლების და ჯგუფების მოსწავლეთა კონტიგენტი მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 13,1%-ია, ხოლო სასკოლო ინტერნატებისა — 0,6. დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ შეიმჩნევა სასკოლო ინტერნატების რაოდენობის შემცირების ტენდენცია.

დღეისათვის გახანგრძლივებული დღის სამი სკოლაა შექმნილი და ისიც მხოლოდ ქ. თბილისში, არც ართი გახანგრძლივებული დღის ჯგუფი არ არის ადიგენის, ახალციხის, ბოგდანოვკის, გორის, ყაზბეგის, ქარელის, ზნაურისა და შუახევის რაიონების სკოლებში. არც ერთი სასკოლო ინტერნატი არ არის ადიგენის, ახალციხის, ვანის, გარდაბნის, გურჯაანის, ზუგდიდის, ყვარლის, ლანჩხუთის, მახარაძის, მიაიკოვსკის, მცხეთის, საჩხერის, სიღნაღის, თელავის, თერჯოლის, წითელწყაროს, ცხაკაიას, ჩხოროწყუს, გალის, გუდაუთის, ოჩამჩირის რაიონებში.

ძალზე სუსტია არსებული გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების, სასკოლო ინტერნატების სასწავლო-მატერიალური ბაზა. თითქმის არც ერთ სკოლაში არაა შექმნილი ბავშვთა კვების, დასვენებისა და გართობის ნორმალური პირობები. ფაქტიურად ჯერ კი-

დედ მოუგვარებელია სოფლად საცხოვრებელი ადგილიდან შორს მდებარე სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირების საკითხი.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, არაა ორგანიზებული მოსწავლეთა დამოუკიდებელი მეცდინეობა, საგანთა უკეთ შესწავლის მიზნით კონსულტაციები, მოუგვარებელია წრეობრივი და სპორტული სექციების საქმიანობა, ცოტა რამ კეთდება სასკოლო ბიბლიოთეკების მიზნობრივად გამოყენების თვალსაზრისით.

განსაკუთრებით დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ აღმზრდელთა შერჩევა ხდება სათანადო ცოდნის და უნარ-ჩვევების გაუთვალისწინებლად. ზოგ შემთხვევაში ამ თავისებურ და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ნიშნავენ სამუშაოზე „მოწყობის“ ან „სათების შევსების“ მიზნით.

სუსტია კონტროლი და დახმარება გახანგრძლივებული დღის ჯგუფების, სკოლებისა და სასკოლო ინტერნატების საქმიანობისადმი სახალხო განათლების ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების მხრიდან.

მიუხედავად იმისა, რომ გახანგრძლივებული დღის ჯგუფების, სკოლებისა და სასკოლო-ინტერნატების სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობას გააჩნია პედაგოგიურ-ორგანიზაციული თავისებურებები, აღმზრდელთა და მასწავლებელთა მუშაობის სპეციფიკა, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტს უკანასკნელ წლებში თითქმის არაფერი შეუქმნია სკოლის ცხოვრებაში დამკვიდრებულ ამ პერსპექტიულ სიახლეთა შესახებ. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებში არ არის ორგანიზებული აქ მომუშავე აღმზრდელთა და მასწავლებელთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნობრივი სისტემა.

გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების, სასკოლო ინტერნატების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია

#### აღ ბ ე ნ ს:

1. ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროებმა, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა:

— კონკრეტულად შეისწავლონ გახანგრძლივებული დღის



სკოლების, ჯგუფებისა და სასკოლო ინტერნატების რაციონალურად განლაგების, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფისა და სასწავლო-აღმზრდევლობითი მუშაობის ორგანიზების საკითხი. სათანადო ანალიზის საფუძველზე დასახონ ქმედითი ღონისძიებანი არსებული არანორმალური მდგომარეობიდან გამოსვლის უზრუნველსაყოფად;

— საკითხის შესწავლისა და ღონისძიებათა დასახვის დროს განუხრელად იხელმძღვანელონ სსრ კავშირის განათლების მინისტრის მიერ 1977 წლის 14 აპრილს დამტკიცებული განხანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და განხანგრძლივებული დღის ჯგუფების ტიპური დებულებით (თან ერთვის).

2. ქ. თბილისის სახალხო განათლების განყოფილებამ (ამხ. ლ. ჩიქვანაია):

— დაწვრილებით შეისწავლოს ქალაქის განხანგრძლივებულ დღის სკოლებში შექმნილი არანორმალური ვითარება, დასახონ ღონისძიებანი მათ მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

— მიმდინარე წლის სექტემბრისათვის წარმოადგინოს კონკრეტული წინადადებები აღნიშნული ტიპის სკოლებისა და ჯგუფების რაციონალურად განლაგებისა და მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე; მიიღოს ზომები, რათა უახლოეს წლებში ქ. თბილისის ყველა რაიონში შეიქმნას განხანგრძლივებული დღის თითო სკოლა მაინც.

3. ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის მეცნიერებათა კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. საყვარელიძე):

— სამეცნიერო-კვლევით თემატიკაში გაითვალისწინოს განხანგრძლივებული დღის სკოლების, ჯგუფების, სასკოლო ინტერნატების პედაგოგიურ-ორგანიზატორული და მეთოდური თავისებურებები, აღმზრდელთა და მასწავლებელთა მუშაობის სპეციფიკა. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ახალგაზრდობის საზოგადოებრივი აღზრდისა და ყოველმხრივი განვითარების საკითხებს, ამ საქმეში პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მიზნობრივად გამოყენების რეკომენდაციების მომზადებას.

4. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. მ. დარჩია):

F4523

ქ. მარტვის სახ. საქ. სსრ  
სახელმწიფო რესპუბლიკა  
თბილისი

— შეიმუშაოს განხორციელებული დღის სკოლებისა და ჯგუფების, სასკოლო ინტერნატების აღმზრდელთა და მასწავლებლების გადამზადების; კვალიფიკაციის ამაღლების მიზნობრივი სისტემა. მიიღოს ზომები მისი განუხრელად განხორციელებისათვის როგორც ცენტრალურ, ისე დაქვემდებარებულ დახელოვნების ინსტიტუტებში.

5. აღნიშნული გადაწყვეტილება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროებს, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტს, გადაწყვეტილება და ცნობა გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში“, დაიბეჭდოს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

6. გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სკოლების სამმართველოს (ამხ. გ. ფანჩულიძე).

მინისტრის მოადგილე

უზ. ოგოლაძე



მოწონებულია ზოგადსაგანმანათლებლო  
სკოლის საბჭოს მიერ  
„26“ მარტი, 1977 წ.

განმარტობს  
სსრკ განათლების მინისტრის  
მ. ა. პროკოფევი  
„14“ აპრილი, 1977 წ.

## ტიპური დებულება

### გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და გახანგრძლივებული დღის ჯგუფებისა

გახანგრძლივებული დღის სკოლები და გახანგრძლივებული დღის ჯგუფები ყალიბდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 15 თებერვლის № 182 დადგენილების საფუძველზე და სსრკ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძველების 23-ე მუხლის შესაბამისად — საზოგადოებრივი აღზრდის შემდგომი გაფართოების, მოსწავლეთა ყოველმხრივი განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნისა და მათ აღზრდაში ოჯახისათვის დახმარების გაწევის მიზნით.

გახანგრძლივებული დღის სკოლები ხელმძღვანელობენ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების წესდებით და იმ დებულებებით, რომლებიც ამ ტიპური დებულების საფუძველზე დამტკიცებულია მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების სამინისტროების მიერ.

### გახსნის წესი, დაკომპლექტება და ხელმძღვანელობა

1. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდების შესაბამისად, გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და გახანგრძლივებული დღის ჯგუფების გახსნის წესს განსაზღვრავენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

2. გახანგრძლივებული დღის სკოლები და ჯგუფები იქმნება I—VIII კლასების მოსწავლეთათვის საჭირო სასწავლო-მეთოდური ბაზის არსებობის შემთხვევაში და იმ პირობით, თუ მათი შექმნა არ გამოიწვევს მეცადინეობის ცვლიანობის გაზრდას ქალაქის ან სოფლის სკოლებში.

3. ყოველ გახანგრძლივებულ დღის სკოლას რაიონის (ქა-

ლაქის) სოფლის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომო განუსაზღვრავს მომსახურების რაიონს.

4. გახანგრძლივებული დღის ჯგუფის მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენს 30—40 ადამიანს. ჯგუფები, როგორც წესი, კომპლექტდება ერთი ან რამდენიმე კლასის მოსწავლეთაგან.

5. ბავშვთა ჩარიცხვა გახანგრძლივებულ დღის სკოლაში ან ჯგუფში ხდება სკოლის დირექტორის ბრძანებით, მშობელთა ან მათ შემცვლელ პირთა განცხადებების საფუძველზე პირველ რიგში მიიღებიან ბევშვები, რომელთა მშობლები მუშაობენ.

განცხადებები ჩარიცხვის თაობაზე, როგორც წესი, მიიღება 25 აგვისტომდე.

გახანგრძლივებული დღის ჯგუფიდან მოსწავლეთა ამორიცხვა ხდება დირექტორის ბრძანებით, მშობლების ან მათი შემცვლელი პირების განცხადების საფუძველზე.

6. მოსწავლეთა მიერ საშინაო დავალებათა წარმატებით შესრულების უზრუნველყოფის, ბავშვთა ტექნიკური შემოქმედების, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესების მიზნით, სკოლის დირექციას შეუძლია მუშაობაში ჩააბას პედაგოგ-მოსწავლელები, წრის ხელმძღვანელები, აგრეთვე საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციების მუშაკები, მათი შრომის ანაზღაურება წარმოებს აღმზრდელთა განაკვეთის ანგარიშზე, საათობრივი ანგარიშსწორების პირობებში, სსრკ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის 13 თებერვლის № 11-მ წერილის „გახანგრძლივებული დღის სკოლების და ჯგუფების სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების აღმზრდელთა შრომის ანაზღაურების შესახებ“ შესაბამისად.

7. 1. სკოლის დირექტორი პასუხს აგებს გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მუშაობისათვის აუცილებელი პირობების შექმნაზე და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის საერთო ორგანიზაციაზე; უზრუნველყოფს ბავშვთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას; უზრუნველყოფს მოსწავლეთა კვებასა და დასვენებას; ლებულობს წარმოებათა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სპეციალისტებს გახანგრძლივებულ დღის სკოლებსა ან გახანგრ-

ძლივებულ დღის ჯგუფებში სამუშაოდ ამ დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან შეთანხმებით.

7. 2. დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ხელმძღვანელობს მეთოდურ მუშაობას აღმზრდელებთან, მასწავლებლებთან, გახანგრძლივებული დღის ჯგუფების წრეების ხელმძღვანელებთან, ახორციელებს კონტროლს მოსწავლეთა მიერ საშინაო დავალებების მომზადებაზე.

7. 3. კლასგერეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორი, უფროს პიონერხელმძღვანელთან და კლასების ხელმძღვანელებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებაში, ორგანიზაციას უწევს გახანგრძლივებული დღის ჯგუფების აღმზრდელების კლასგერეშე და სკოლისგარეშე მუშაობას; გეგმავს მას და კონტროლს ახორციელებს ამ გეგმების რეალიზაციაზე; უწევს მეთოდურ დახმარებას მასწავლებლებს, აღმზრდელებს, კომკავშირულ, პიონერულ და მოსწავლეთა აქტივს; ბავშვებთან აღმზრდელობით მუშაობაში აბამს კულტურის დაწესებულებებს, ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებსა და საზოგადოებრიობას.

7. 4. აღმზრდელი პასუხისმგებელია მასზე მიმაგრებულ ჯგუფებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობასა და ორგანიზაციაზე, აწარმოებს გახანგრძლივებული დღის ჯგუფის უყრნალს.

გახანგრძლივებული დღის ჯგუფების აღმზრდელებზე ვრცელდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთათვის დადგენილი შეღავათები და უპირატესობანი, საპენსიო უზრუნველყოფის წესი და მორიგი შევებულების ხანგრძლივობა.

8. აღმზრდელისა და სხვა პირთა მუშაობის რეჟიმს, დაკავშირებულს გახანგრძლივებული დღის სკოლებში ან გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში სააღმზრდელო მუშაობასთან, აწესებს სკოლის დირექტორი სკოლის მუშაობის რეჟიმის შესაბამისად.

#### მუშაობის ორგანიზაცია

9. კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მთელი სისტემის ორგანული ნაწილია, რომელიც უზრუნველყოფს იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი და შრომითი აღზრდის ერთობ-



ლიობას; მოსწავლეთა შემოქმედებითი, საზოგადოებრივ-სასაზოგადოებლო საქმიანობის მრავალმხრივ განვითარებას.

მეცადინეოები წრეებში, სექციებში, კლუბებსა და სხვა კოლექტივებში ტარდება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სამინისტროების ტიპობრივი პროგრამების შესაბამისად, აგრეთვე იმ პროგრამებით, რომლებიც დაამუშავეს ცალკეულმა მოსწავლეებმა და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ.

10. გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მუშაობისათვის გამოიყენება სასწავლო კაბინეტები, სახელოსნოები; ფიზკულტურული და სააქტო დარბაზები, ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი და სხვა სასწავლო სათავსოები, მათი გამოყენების წესი და პასუხისმგებლობა მოწყობილობათა მოვლა-პატრონობაზე უნდა დააწესოს სკოლის დირექტორმა.

კლუბების, წრეობრივი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის ორგანიზებისათვის გამოიყენება სკოლისგარეშე დაწესებულებათა, სპორტული კლუბებისა და სტადიონების, კულტურის სახლებისა და სასახლეების, სასწავლო დაწესებულებების, საბინაო-საექსპლოატაციო კომიტეტების საშუალებები.

11. კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარებაში პედაგოგიური კოლექტივები ეყრდნობიან კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების დახმარებას.

მოსწავლეთა კოლექტივის საქმიანობა გახანგრძლივებულ დღის სკოლებსა და გახანგრძლივებულ დღის ჯგუფებში ხორციელდება თვითმმართველობის საფუძველზე და მიმართულია სწავლების ხარისხის ამაღლების, მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისა და მათი დამოუკიდებლობისა და საზოგადოებრივი აქტიურობის განვითარებისაკენ.

12. დღის რეჟიმს გახანგრძლივებულ დღის სკოლებსა და ჯგუფებში ადგენს პედაგოგიური საბჭო და ამტკიცებს სკოლის დირექტორი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდების საფუძველზე. სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1969 წლის 17 ივლი-



სის № 110-მ „სკოლა-ინტერნატებსა და გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში არასასწავლო დროისა და საშინაო დავალებათა შესრულების ჰიგიენური ორგანიზაცია“ რეკომენდაციების შესაბამისად და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

13. გახანგრძლივებული დღის სკოლების და გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მოსწავლეთათვის ეწყობა ორჯერადი ცხელი კვება დადგენილი ნორმების მიხედვით, მშობელთა ხარჯზე. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომს უფლება ეძლევა მშობელთა თანხმობით, გახანგრძლივებულ დღის სკოლებსა და გახანგრძლივებულ დღის ჯგუფებში შეამციროს მოსწავლეთა იმ დღიური კვების ღირებულება, რომელიც მშობელთა ხარჯზე წარმოებს.

გახანგრძლივებულ დღის სკოლებსა ან გახანგრძლივებულ დღის ჯგუფებში მყოფ მოსწავლეთა კვებისათვის შეიძლება ნაწილობრივ გამოყენებულ იქნეს საყოველთაო სწავლების ფონდი, აგრეთვე პროდუქტი, მიღებული სკოლის ნაკვეთიდან და დამხმარე მეურნეობიდან, შეფი საწარმოების, ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობების მიერ გამოყოფილი სახსრები.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომს უფლება ეძლევა გაათავისუფლოს კვების გადასახადიდან ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახების ბავშვები გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მოსწავლეთა საერთო შემადგენლობის 25%-მდე, მთლიანად — 10%-მდე, გადასახადის ნახევარი ოდენობით — 15%-მდე. ასეთივე უფლებები აქვთ აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოებს გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მიმართ, რომლებიც დაფინანსებულია სასოფლო და სადაბო ბიუჯეტების მიხედვით.

14. გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და გახანგრძლივებული დღის ჯგუფების სამედიცინო მომსახურებას უზრუნველყოფენ სამედიცინო მუშაკები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სამედიცინო პერსონალის მუშაობის შესახებ სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროსა და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1976 წლის 14 სექტემბრის № 885/143 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

15. გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და გახანგრძლივებული დღის ჯგუფების შენახვაზე განკუთვნილი ხარჯები, აგრეთვე მოსწავლეთა კვებაზე გათვალისწინებული შეღავათების ხარჯები ანაზღაურდება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ბიუჯეტის ანგარიშზე დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

16. მოსწავლეთა კვების დოკუმენტაციის გაფორმება, ოპერაციათა ბუღალტრული აღრიცხვა და გახანგრძლივებულ დღის სკოლებსა და გახანგრძლივებულ დღის ჯგუფებში მშობელთა გადასახადის დოკუმენტაცია მოსწავლეთა კვების შესახებ, ბუღალტრული აღრიცხვა და გახანგრძლივებული დღის სკოლაში მშობელთაგან გადასახადის აკრეფა წარმოებს სკოლებში მოსწავლეთა კვებასთან დაკავშირებული ოპერაციების აღრიცხვის წესის შესახებ სსრკ განათლების სამინისტროს 1968 წლის 12 სექტემბრის № 91-მ-ით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

17. გახანგრძლივებული დღის სკოლები ეწევიან საქმის წარმოებას, ანგარიშგებას დაწესებული ფორმების მიხედვით და ანგარიშს მუშაობის შესახებ აბარებენ განათლების რაიონულ (საქალაქო) განყოფილებას. ყველა სკოლა, სადაც არის გახანგრძლივებული დღის ჯგუფები, აწარმოებს გახანგრძლივებული დღის ჯგუფის ჟურნალს სსრკ კავშირის განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით.

18. გახანგრძლივებული დღის სკოლა სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით, აქვს გერბიანი ბეჭედი და შტამპი თავისი სახელწოდებით.

1978 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება

**ზოგიერთი ზოგადსაგანმანათლებლო საგნის გაღრმავებული  
სწავლების სკოლებისა და კლასების მუშაობის შესახებ**

კოლეგია აღნიშნავს, რომ ადგილებიდან მიღებული მასალების შესწავლამ და რესპუბლიკის იმ სკოლების მუშაობის შემოწმებამ, რომლებშიც ცალკეული სასწავლო დისციპლინები გაღრმავებულად ისწავლება, დაადასტურა, რომ ამ ტიპის სკოლები და კლასები კურსდამთავრებულებს აძლევს საკმაო თეორიულ ცოდნას შესაბამის საგნებში, აუმჯობესებს მოსწავლეთა მომზადებას ცხოვრების, შრომისა და პროფესიის შეგნებულად არჩევისათვის. ეს სკოლები მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში და უცხოურ ენებში მუშაობენ სპეციალური პროგრამებითა და სასწავლო გეგმებით. ამ მხრივ გამოირჩევიან ქ. თბილისის მე-4, 23-ე, 24-ე, 42-ე, 47-ე, 55-ე, 116-ე სკოლები და ქ. ქუთაისის მე-3 სკოლა.

ამასთან, ცალკეული სასწავლო დისციპლინების გაღრმავებით შემსწავლელი სკოლებისა და კლასების ორგანიზებასა და საქმიანობაში დარღვეულია სადირექტივო ორგანოების მოთხოვნები; კლასების დაკომპლექტებისას ვერ იცავენ ინტერესებისა და მიდრეკილების მიხედვით მოსწავლეთა შერჩევის პრინციპს. რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მრავალი სკოლის არც ერთ კლასში არ არის შემოღებული რომელიმე საგნის გაღრმავებული სწავლება, ქ. თბილისის რაიონებში არათანაბრად არის შერჩეული ასეთი ტიპის სკოლები: კალინინისა და ორჯონიკიძის რაიონებში შესაბამისად — 5 და 4 სკოლაა, ლენინის და 26 კომისრის რაიონებში — თითო, ოქტომბრისა და საქარხნო რაიონებში კი არც ერთი.

რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების უმრავლესობა არ ხელმძღვანელობს „ცალკეული სასწავლო დისციპლინების გაღრმავებული თეორიული და პრაქტიკული სწავლების სკოლებისა და კლასებისათვის“ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1974 წლის 10 აპრილს დამტკიცებული დებულებით. ისეთ მსხვილ სამრეწველო ქალაქში, როგორც რუსთავია, მხოლოდ ერთ სკო-



ლაშია შემოღებული მათემატიკის გაღრმავებული სწავლება; ქ. ქ. ქიათურაში, ცხაკაიაში, ახმეტის, ყვარლის, სიღნაღის, წალკის, ლენინგორის რაიონებში გაუქმდა ცალკეული საგნების გაღრმავებული სწავლება.

განათლების სამინისტროს არაერთგზის მოითხოვნის მიუხედავად ქიმიის, ბიოლოგიისა და განსაკუთრებით ჰუმანიტარული საგნების გაღრმავებული სწავლების სკოლები რესპუბლიკაში ძალზე ცოტაა. მაგ., ქიმიის გაღრმავებული სწავლება შემოღებულია მხოლოდ ქ. გორის ერთსა და ქ. ბათუმის ორ საშუალო სკოლაში, ბიოლოგია — ქ. თბილისის 62-ე, 65-ე და 150-ე სკოლებში, რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლება — ბორჯომის რაიონის წაღვერის, ხელვაჩაურის რაიონის მახინჯაურის ქართულ სკოლებში და ზუგდიდის რაიონის ინგირის სკოლა-ინტერნატში, ქართული ენისა და ლიტერატურის — მხოლოდ ქ. თბილისის 23-ე, ხოლო სახვითი ხელოვნებისა — 143-ე სკოლაში.

ხშირია კლასების თვითნებურად გახსნისა და დახურვის შემთხვევები. მაგ., ქ. თბილისის 101-ე სკოლაში გაღრმავებულად ისწავლებოდა და ახლა არ ისწავლება რუსული ენა და ლიტერატურა, ქ. ქ. რუსთავის მე-10, ცხაკაიას მე-2, სიღნაღის რაიონის ბოდბისხევის, წალკის საშუალო სკოლებში — ქიმია, წნორის 1-ლ სკოლაში — მათემატიკა.

ზოგ სკოლაში დებულების უხეში დარღვევით იქნა შემოღებული ხაზვის გაღრმავებული სწავლება, რამაც საფუძველი მისცა მშობლებს და მასწავლებლებს დაუსაბუთებელი პრეტენზიები წამოეყენებინათ ადრე დაწერილი ნიშნების გადასინჯვის თაობაზე, რაც ეწინააღმდეგება სათანადო ინსტრუქციით გათვალისწინებულ წესებს.

არც ერთ შემოწმებულ სკოლას არა აქვს საამქრო-ლაბორატორიები, მხოლოდ წლის ბოლოს ან ებიზოდურად სასწავლო წლის მანძილზე ტარდება პრაქტიკა, ექსკურსიები, რითაც ამოიწურება მწარმოებლურ შრომასთან მოსწავლეთა კავშირი.

ქ. თბილისის 62-ე, 65-ე, 150-ე სკოლებს, სადაც ბიოლოგიის გაღრმავებული სწავლებაა შემოღებული, არა აქვთ სასწავლო-საცდელი ნაკვეთები. ქ. თბილისის 1-ლ, 42-ე და ქ. რუსთავის მე-10 სკოლებში, სადაც გაღრმავებულად ისწავლება მათემატიკა, არა





აქვთ სტაბილური სასწავლო გეგმა, რაც იწვევს კვირეული დატვირთვის გაუმართლებელ გაზრდას.

